საპროექტო წინადადებების კონკურსის I ეტაპი

წინასწარი საპროექტო განაცხადი (მოკლე კონცეფცია)

პროექტის თავფურცელი

(არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს)

პროექტის ამოცანები	საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ფსიქიკური ჯანმრთელობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, ფსიქიატრის და ფსიქოლოგის საქმიანობის, სფეროსთან დაკავშირებული მითების, დიაგნოსტირების და დროული მკურნალობის აუცილებლობის შესახებ.
მოსალოდნელი შედეგები	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ აქტიური დისკუსიის დაწყების ინიცირება ფართო საზოგადოებაში. საკითხთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ფსიქიკური ჯანმრთელობის პირების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლა. არსებული ბენეფიციარების მხრიდან სწორი მკურნალობისა საზოგადოებაში ინტეგრირების შესაძლებლობის დანახვა და პოტენციურ ბენეფიციარებში შესაბამის სპეციალისტებთან მიმართვის, დიაგნოსტირებისა და მკურნალობის აუცილებლობის ჩვენება და წახალისება. საზოგადოებაში პრობლემის უნივერსალურობის განცდის გაჩენა.
პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა	მომზადდება ვიდეოების სცენარები და ტექსტები, მოხდება ტექნიკის ქირაობა, პოტენციურ მონაწილეებთან შეთანხმება და დაიწყება ვიდეოების სერიის ჩაწერისა და გამოქვეყნების ეტაპობრივი ფაზა.
სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები, მათი ოჯახის წევრები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, პოტენციური ბენეფიციარები.
საბოლოო ბენეფიციარები/ მოსარგებლეები	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან შემხებლობაში მყოფი პირები - როგორც სერვისის მიმღებლები, ასევე სერვისის მიმწოდებლები, საკითხით დაინტერესებული პირები და მთლიანად საზოგადოება.
პროექტის პარტნიორები / თანაგანმცხადებლები	
პროექტის ხანგრძლივობა	3 თვე
მოთხოვნილი თანხა (ლარში)	8800 ლარი

1. **პროექტის სახელწოდება:** „დაინახე პიროვნება დიაგნოზის მიღმა“
2. **პროექტის მიზანი** ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სტიგმის დაძლევა/შემცირება
3. **პროექტის ამოცანები**: პროექტი მიზნად ისახავს, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სტიგმის დაძლევას/შემცირებას, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ამოცანების შესრულება:

   ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება საზოგადოების სხვადასხვა ფენების უშუალო ჩართულობის გზით ამ პროექტში;
   ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს თანამედროვე გამოწვევების და მიდგომების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
   საზოგადოების ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, როგორ უნდა მოხდეს სიმპტომების იდენტიფიცირება და თუ ვის უნდა მიმართონ პრობლემის არსებობის შემთხვევაში;
   ფსიქიატრისა და ფსიქოთერაპევტის მუშაობის სპეციფიკისა და არეალის აღწერა, რათა მოხდეს არასწორი წარმოდგენებით გამოწვეული დაბალი მიმართვიანობის გაზრდა;
   ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპებისა და მითების ჩანაცვლება კვლევებზე დაფუძნებული მონაცემებით;
   საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ ღია საუბრის ხელშეწყობა საზოგადოებაში;
   საზოგადოებისთვის იმ მესიჯის მიწოდება, რომ სტიგმა წარმოადგენს საფრთხეს არამხოლოდ ბენეფიციარებისთვის, არამედ საზოგადოების ყოველი წევრისთვის, რამდენადაც სამომავლოდ არავინაა დაზღვეული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისგან.
4. **პროექტის ხანგრძლივობა** (თვეები)**:** მაისი-ივნისი-ივლისი
5. **მოთხოვნილი თანხა** (ლარში)**:** 8800
6. **პროექტის ხელმძღვანელი (სახელი/გვარი და თანამდებობა):**
   გიორგი გრიგოლია (აღმასრულებელი დირექტორი)
7. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
   - ორგანიზაციის შემთხვევაში, დასახელება რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით:
     „ახალგაზრდები ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის“
   - მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., № 42, ბ. 24
   - ტელეფონი: 551 13 97 03
   - ელექტრონული ფოსტა: ymmh.georgia@gmail.com
   - ვებ-გვერდი:

8. პრობლემის აღწერა

სტიგმა უმძიმეს ტვირთად აწევს არამხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს და მათი ოჯახის წევრებს, არამედ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მთლიან საზოგადოებას.

"ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყულნი რჩებიან და სტიგმისა და დისკრიმინაციის ობიექტები არიან. ამ მდგომარეობას "თვით-სტიგმაც", საკუთარი თავისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, ამძიმებს. [...]

სტიგმა აადვილებს და აღრმავებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების შელახვას – საზოგადოება მსჯელობს, აქვთ თუ არა ამ ადამიანებს ქორწინების ან შვილის ყოლის უფლება, ან არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება. საზოგადოებას არ სჯერა ამ ადამიანების შესაძლებლობებისა და უნარებისა, რადგან ინფორმაციის ნაკლებობის, მანკიერი ჩვეულების და კარგი მაგალითების დეფიციტის ატმოსფეროში ცხოვრობს. ოცდამეერთე საუკუნეშიც კი ფსიქიკური აშლილობა მითოლოგიზირებულია, პრობლემები – განდევნილი და სტიგმატიზირებული ადამიანები – დავიწყებული." (Zavradashvili & Makhashvili, 2008)

აქედან გამომდინარე, პროექტი გათვლილია, როგორც ბენეფიციარებზე, მათ ოჯახის წევრებზე და სფეროში მომუშავე სპეციალისტებზე, არამედ საზოგადოების ფართო სპექტრზე.

9. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის აღწერა

პროფესიონალური დონის ინფორმაციის მიწოდებისათვის - ვიდეოების სერიის მომზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტების მონაწილეობით.

ცნობიერების ამაღლებისათვის -

ვიდეოების სერიის მომზადება საზოგადოებისთვის ცნობილი და მისაბაძი პირების მონაწილეობით, სადაც ისინი ისაუბრებენ/გააჟღერებენ კონკრეტულ მესიჯებს სფეროში არსებული მითების და რეალობების შესახებ, გააჟღერებენ კონკრეტულ მოწოდებებს და რამდენიმე შემთხვევაში ისაუბრებენ საკუთარ გამოცდილებაზე.

ასევე, ვიდეოების სერიის მომზადება ფჯ. პრობლემების მქონე პირების, სერვისის მომხმარებლების და მათი ოჯახის წევრების მონაწილეობით.

სადაც ადამიანები ისაუბრებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის და მასთან გამკლავების საკუთარ გამოცდილების შესახებ და ასევე, საკითხი დანახული იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის ოჯახის წევრის/ზრუნვის გამცემის პერსპექტივიდან.

10. **პროექტის მოსალოდნელი შედეგები და მისი გრძელვადიანი გავლენა**

    პროექტი ბიძგს მისცემს საზოგადოებაში საკითხზე დისკუსიის უფრო ღრმა და ფართო წამოწყებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და მათი დამოკიდებულების შეცვლას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ.

    ბენეფიციარებსა და პოტენციურ ბენეფიციარებს ექნებათ უფრო კონკრეტული და მრავალფეროვანი ინფორმაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, ბენეფიციარების, სფეროს სპეციალისტების და მკურნალობის შესახებ, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, როგორც უშუალოდ სტიგმის დაძლევის, ასევე მიმართვიანობის გაზრდისა და ბენეფიციარების ცხოვრების ხარისხზე ზრუნვის კუთხით.

11. **ორგანიზაციის შესაბამისი გამოცდილება**

პროექტის წარდგენის თარიღი:	**20.01.2019 წ**
პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა	.....
ორგანიზაციის /საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის ხელმოწერა (თუ ის არ არის პროექტის ხელმძღვანელი):	.....